ზუგდიდის კულტურული მემკვიდრეობის მიმართება ქალაქგანვითარების კონტექსტში

ზუგდიდი, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და რეგიონალური შემკრები ცენტრი, კულტურული მემკვიდრეობის სახასიათო ობიექტებით საკმაოდ მდიდარია და მათ შორის რამდენიმე ეროვნული მნიშვნელობისაა.

ზუგდიდი და მისი შემოგარენი უძველესი დროიდან ჩანს დასახლებული. ამას განაპირობებდა ზღვისპირა, ბარისა და გორაკ–ბორცვოვანი ადგილების შემკრები ცენტრის ფუნქცია, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა აქ ცხოვრების განსავითარებლად. შესაბამისად ზუგდიდში მრავლადაა არქეოლოგიური ღირსშესანიშნაობის შემცველი არეალები, ძველი სავაჭრო გზები და სხვ. მცირე ურბანული ფრაგმენტული ქსოვილები (იცვლებოდო ქუჩების განლაგება, ქალაქის გეგმარება, ცენტრთან მაკავშირებელი გზები).

ზუგდიდის, როგორც საქალაქო ცენტრის ფორმირება იწყება განვითარებული შუასაუკუნეების ხანის ბოლოდან. იცვლებოდა ზუგდიდის ურბანული ცენტრი. მაცხოვრისკარის გორიდან ქალაქის ცენტრი ჩამოდის გაშლილ ვაკეში. მეთვრამეტე საუკუნის შუახანებიდან ზუგდიდის მმართველი სამთავრობო დინასტიამ აქ დაიწყო ევროპული ტიპის სასახლეების მშენებლობა, სადაც ასევე გათვალისწინებული იყო ქართული და აზიური ხუროთმოძღვრების ელემენტები, შესაბამისად მათმა სიბიოზმა შექმნა ქართულ სინამდვილეში უნიკალური პრეცედენტი და ზუგდიდი ჩამოყალიბდა ქართულ-ევროპული ტიპის ქალაქად. ქალაქის გეგმარებაში გამოიკვეთა არქიტექტურული წესრიგი, შეიქმნა ქუჩების სიმეტრიული განლაგება.

აღსანიშნავია, რომ ზუგდიდში ფიქსირებულია ძველი და ახალი ზუგდიდის ტოპონიმები, რაც ნიშნავს. სხვადასხვა საქალაქო ცენტრის მქონე ურბანული ღერძის არსებობას. თანამედროვე ზუგდიდის საქალაქო იერსახის ფორმირება ძირითადად საბჭოთა პერიოდში მოხდა, როდესაც სამწუხაროდ, ხდებოდა ძველი ქალაქგანაშენიანების ელემენტების დარღვევა და კონტექსიდან ამოვარდნა. მიუხედავად ამისა, თანამედროვე ზუგდიდის ურბანული განვითარების პროცესში იკვეთება ცალკეული არქიტექტურული, მონუმენტური, ქანდაკებებისა და მხატვრული ნიმუშები, რომელთაც გააჩნიათ გამორჩეული ზოგად საკაცობრიო

მნიშვნელობა ისტორიული, ხელოვნების ან მეცნიერების თვალსაზრისით. ასევე, შენობათა ჯგუფები - ცალკეულ ნაგებობათა ან ერთმანეთთან დაკავშირებულ ნაგებობათა ჯგუფები, რომლებიც მათი არქიტექტურის, ჰომოგენურობის ან ლანდშაფტში მათი მდებარეობის გამო, წარმოადგენს გამორჩეულ ფასეულობას ისტორიის, ხელოვნების ან მეცნიერების თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში ზუგდიდის ურბანული განვითარება ხდებოდა ქაოტურად. დაირღვა არქიტექტურულ ნაგებობათა ურთიერთმიმართების პროცესი, შესაბამისად ქალაქის გენგეგმის შემუშავება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

წარმოდგენილი გენგეგმა სწორად სვამს აქცენტს ზუგდიდის ქალაქგეგმარების, ურბანული დინამიკის პროცესში კულტურული მემკვიდრეობის ნიშნის მქონე ობიექტების ან პერსპექტივაში გაძეგლებისთვის აუცილებელი მახასიათებლების მატარებელი ობიექტების ჩასართავად, მათი სახელმწიფო დაცვის ქოლგის ქვეშ მოსაქცევად.

აუცილებელია, წარმოდგენილი ობიექტების ნუსხა მნიშვნელოვნად გაიზარდოს, მაგრამ რეკომენდირებული პროექტი უკვე თავისთავად ქმნის პრეცენდენტს - ცალკეულ ნაგებობათა, ნაგებობათა ფრაგმენტების ან ერთმანეთთან დაკავშირებულ ნაგებობათა ჯგუფების გასაძეგლებლად.

ამდენად, წარმოდგენილი პროექტი, ზუგდიდის ურბანული განვითარების პროცესში დადებით ზეგავლენას მოახდენს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში და დაიცავს ამ ობიექტებს მავნე ზეგავლენისგან.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის,

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის

ძეგლთა დაცვის განყოფილებისუფროსი: ლ. ... ლაშა ჯიქია

20.07.2020ნ.